ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის
მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში

საკრებულოს წევრის სახელი, გვარი - **დავით ლომიძე**

თანამდებობის დასახელება - **ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე**

ფრაქციის დასახელება - ფრაქცია ,,ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო''
არჩევის წესი - პროპორციული

საანგარიშო პერიოდი- 2024 წლის 01.01-დან 2024 წლის 20.11 მდე.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა

- საკრებულოს სხდომების რაოდენობა - 10, დასწრება -10.
- საკრებულოს ამ სხდომებზე განხილული საკითხების რაოდენობა -83

კომისი(ებ)ის დასახელება

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია

- ახალციხის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო (თავმჯდომარე), საბჭოს სხდომების რაოდენობა - 2 , ესწრებოდა - 2 სხდომას.

სულ ფრაქციის სხდომების რაოდენობა -2 სხდომა

ფრაქციის სხდომებზე დასწრება - 2 სხდომა

საკრებულოს სხდომებზე განხილული საკითხები, გადაწყვეტილებები და მხარდაჭერილი საკითხები

საანგარიშო პერიოდში ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულომ სხდომებზე 83 - საკითხზე მიიღო გადაწყვეტილება, მათ შორის:

- დაამტკიცა ცვლილებები ახალციხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტში, მაქსიმალურად იქნა გათვალისწინებული სოციალური პასუხისმგებლობა და ამავე დროს, კვლავ პრიორიტეტული დარჩა ინფრასტრუქტურის განვითარება;
- ახალციხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის კვარტალური ანგარიშების მოსმენა-შეფასება;
- სოციალურ და ჯანდაცვის პროგრამების განხილვა-დამტკიცება, რომელიც შემუშავებული იქნა გასული წლების სტატისტიკურ მონაცემებზე დაკვირვებით, ზემოთ ხსენებული წესის ზოგიერთ ქვეპროგრამაში განხორციელდა დაფინანსების ოდენობის ზრდა, ასევე გაფართოვდა პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა კატეგორია, რაც აისახება მოსახლეობის კეთილდღეობაზე და მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებაზე;
- ახალციხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტიდან საგანმანათლებლო, კულტურული და სპორტული პროგრამების ფარგლებში ფულადი საჩუქრის გაცემის წესის დამტკიცება, რომელიც მიზნად ისახავს ნიჭიერი და წარმატებული

ადამიანების წახალისებას და განსაზღვრავს მათი დაჯილდოების პირობებსა და წესს;

- საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ახალციხის მუნიციპალიტეტის დასახლებებში დასაფინანსებელი პროექტების შესახებ განკარგულების დამტკიცება;
- ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიისათვის გრანტის მიღებაზე თანხმობის გაცემა;
- ,,ახალციხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მოძრაობის მარშრუტების, მარშრუტებზე მგზავრობის ტარიფისა და შეღავათების დადგენის შესახებ'' დადგენილების დამტკიცება. დადგენილებით, ქალაქ ახალციხის ადმინისტრაციულ საზღვრებში დაწესებულია რეგულარული სამგზავრო გადაყვანის 18 -მარშრუტი;
- ახალციხის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2024-2026 წლების სამოქმედო გეგმისა და საშუალოვადიანი სტრატეგიის დამტკიცების საკითხი და სხვა.

ანგარიშის მოსმენა

- მუნიციპალიტეტის საკადრო პოლიტიკის განსაზღვრის, აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის რეგულირებისა და კონტროლის სფეროში საკრებულოს უფლებამოსილებას განეკუთვნება ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების და თანამდებობის პირების საქმიანობის კონტროლი, მათი ანგარიშების მოსმენა, საანგარიშო პერიოდში ეტაპობრივად მოხდა მუნიციპალიტეტის ყველა სტრუქტურული ერთეულისა და ა(ა)იპ -ის ხელმძღვანელების ანგარიშების მოსმენა/შეფასება.

მოსახლეობასთან შეხვედრები

- მოსახლეობასთან შეხვედრები ხორციელდება სისტემატიურად, როგორც სამუშაო ადგილზე-ყოველდღიურად, ისე გასვლით შეხვედრებზე, აგრეთვე ხდება მოქალაქეთა მომართვიანობა ინდივიდუალურად სამუშაო გარემოში (ადმინისტრაციული შენობა) და მათთვის დახმარების, კონსულტაციის გაწევა მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში.

შეხვედრებზე მონაწილე მოქალაქეთა რაოდენობა - 600- მოქალაქე.

მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოთქმული ძირითადი საკითხები:

- სოციალური პრობლემები;
- ინფრასტრუქტურული საკითხები;
- ჯანდაცვის საკითხები
- გზების აღდგენა -რეაბილიტაციის საკითხები

და სხვა

მოქალაქეთა პრობლემებზე საკრებულოს წევრის რეაგირების ფორმები

- მოქალაქეთა მიერ გამოთქმული პრობლემები, საკითხები დასმული იქნა მერთან, მერიის თანამდებობის პირებთან, გაეწიათ შუამდგომლობა (როგორც წერილობით, ისე ზეპირი ფორმით) შესაბამის სახელმწიფო თუ სხვა უწყებებთან, საკრებულოს სხდომებზე, საკრებულოს წევრთა სამუშაო შეხვედრებზე, რომელსაც ესწრებოდნენ მერიის წარმომადგენლები-მიცემული იქნა შესაბამისი დავალებები და.ა.შ.

ზემოთ აღნიშნული საკითხები ძირითადად გადაწყვეტილ იქნა დადებითად. მოქალაქეებს კუნსულტაცია გაეწია სოფლის მეურნეობის, განათლების, ჯანდაცვის და ა.შ. საკითხებში.

საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა

- სოფელ აწყურის კულტურის სახლის გახსნის ცერემონიალში მონაწილეობა - თანამედროვე სტანდარტების მქონე ახალი დარბაზი 200-მდე მაყურებელზეა გათვლილი;
- ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფლებში, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით მოსახლეობასთან შეხვედრები; საკონსულტაციო შეხვედრები გაიმართა 2024 წლის 1-20 თებერვალს. მუნიციპალიტეტის ყველა სოფელში შერჩეული პრიორიტეტული პროექტები წარდგენილ და დამტკიცებულ იქნა საკრებულოს სხდომაზე;
- 16 თებერვალს მონახულებული იქნა ახალციხის მუნიციპალიტეტის თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი 18 ახალი სამგზავრო ავტობუსი, მუნიციპალიტეტის თანამდებობის პირებთან ერთად, ხოლო 29 მარტს საზოგადოებრივი ტრანსპორტის სატესტო რეჟიმში გაშვება;
- 20 თებერვალს- სამუშაო შეხვედრაში მონაწილეობა მიწის სისტემური რეგისტრაციის რეფორმის ფარგლებში - მიწის სისტემური რეგისტრაცია მთელი საქართველოს მასშტაბით, ქვეყნის 59 მუნიციპალიტეტში ხორციელდება (გარდა თვითმმართველი ქალაქებისა და ოკუპირებული ტერიტორიებისა), ახალციხის მუნიციპალიტეტში მომდევნო თვეებში სრულად აიზომება ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალი სოფლები;
- 2 მარტს ქალაქ ახალციხეში, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და შვედეთის მთავრობის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს (Sida) პროექტის „გადავარჩინოთ ბუნება - საქართველო“ ფარგლებში შეძენილი ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგის ახალი ავტომატური სადგურის გახსნაზე დასწრება;

- 16 აპრილს - რუსთაველის ქუჩა № 124-ში სპორტული კომპლექსის გახსნაზე დასწრება - პროექტის ფარგლებში კაპიტალურად მოეწყო შენობა, სადაც განთავსდა შესაბამისი ინფრასტრუქტურით აღჭურვილი სპორტული დარბაზები;
- 26 მაისს- ახალციხის ციხეზე საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე დასწრება;
- 30 -ივნისს - ახალციხის ციხეზე "ახალციხელობა 2024"-ის საზეიმო ღონისძიებაზე დასწრება, ახალციხის საპატიო მოქალაქეების დაჯილდოება;
- 8 აგვისტოს - ახალციხეში 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპულთა ხსოვნისადმი მიძღვნილ ცერემონიალში მონაწილეობა;
- 12 აგვისტოს - ახალგაზრდობის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებულ ღონისძიებაში მონაწილეობა- „ახალციხის ციხეზე";
- მასწავლებელის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ახალციხის მუნიციპალიტეტში მოღვაწე პედაგოგებთან შეხვედრაზე დასწრება;
- ახალციხის ციხეზე, მულტიკულტურული ფესტივალზე დასწრება.

და სხვა მუნიციპალიტეტის მასშტაბით გამართულ სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება-დასწრება.

თანამშრომლობა სამთავრობო და არასამთავრობო სექტორთან, მასმედიასთან, ტრენინგებში, შეხვედრებსა და სხვა ღონისძიებებში მონაწილეობა

სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ საზოგადოებრივ აქტივობებში აქტიური მონაწილეობა, შეხვედრებსა და თემატურ ტრენინგებში მონაწილეობის მიღება. თანამშრომლობა სამთავრობო და არასამთავრობო სექტორთან, მასმედიასთან, ტრენინგებში (მათ შორის ონლაინ) შეხვედრებსა და სხვა ღონისძიებებში მონაწილეობა.

შევსების თარიღი 29. 10. 2024 წ.

წარდგენის თარიღი 30.10.2024 წ.

ხელის მოწერა----------